მომხმარებელთა უფლებების დაცვა დისტანციური ვაჭრობის დროს

ლიკა ხაბელოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ გველესიანი - სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლიკა ხაბელოვი

23.06.2025

აბსტრაქტი

დისტანციური ვაჭრობის სწრაფი ზრდა სულ უფრო აქტუალურს ხდის მომხმარებელთა უფლებების ეფექტიანი დაცვის საკითხს ციფრულ ეპოქაში, რაც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია საქართველოს, ევროკავშირისა და ჩინეთის, როგორც განსხვავებული მარეგულირებელი მოდელების, სამართლებრივი ჩარჩოების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი დისტანციური ვაჭრობისას მომხმარებელთა ძირითადი უფლებების (ინფორმაციის მიღება, ხელშეკრულებიდან გასვლა, მოვაჭრისა და პლატფორმის პასუხისმგებლობა) რეგულირების კუთხით, რის საფუძველზეც შემუშავდება რეკომენდაციები საქართველოსთვის.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, კერძოდ, შედარებით-სამართლებრივ და დოქტრინალურ ანალიზს, პირველადი და მეორადი წყაროების გამოყენებით. ძირითადი შედეგები აჩვენებს, რომ მიუხედავად საქართველოს მიერ ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, კვლავაც არსებობს გამოწვევები პრაქტიკული აღსრულებისა და განსაკუთრებით, სავაჭრო პლატფორმების პასუხისმგებლობის კუთხით. ევროკავშირი გვთავაზობს დაცვის კომპლექსურ და მრავალშრიან ჩარჩოს, ხოლო ჩინეთის მოდელი პლატფორმების მკაცრი ანგარიშვალდებულებით გამოირჩევა.

კვლევის შედეგად დადასტურდა წამოყენებული ჰიპოთეზა და შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოსთვის, რომლებიც მოიცავს სავაჭრო პლატფორმების პასუხისმგებლობის დახვეწას, "შეცდომაში შემყვანი შაბლონების" (*Dark Patterns*) რეგულირებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესებას. ნაშრომს წვლილი შეაქვს დისტანციური ვაჭრობისას მომხმარებელთა დაცვის სფეროში ცოდნის გაღრმავებასა და საქართველოსთვის პრაქტიკული სტრატეგიების შემუშავებაში, სამართლიანი ციფრული ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: მომხმარებელთა უფლებები, დისტანციური ვაჭრობა, ელექტრონული კომერცია, ინფორმაციის მიწოდება, ხელშეკრულებიდან გასვლა, სავაჭრო პლატფორმის პასუხისმგებლობა.

Abstract

The rapid growth of distance trading makes the issue of effectively protecting consumer rights in the digital era increasingly relevant, setting the central research domain of this master's thesis. This study comparatively analyzes the legal frameworks of Georgia, the European Union, and China as different regulatory models in terms of regulating the basic rights of consumers in distance trading (obtaining information, withdrawal from the contract, and liability of the trader and the platform), based on which recommendations for Georgia will be developed.

The methodological approach is qualitative, specifically comparative legal and doctrinal analysis, utilizing both primary and secondary sources. The main results show that despite the significant steps taken by Georgia towards approximation with EU standards, there are still challenges in terms of practical enforcement and, in particular, the liability of trading platforms. The EU offers a complex and multi-layered framework of protection, while the Chinese model is distinguished by strict accountability of platforms.

The research confirmed the hypothesis put forward and developed recommendations for Georgia, which include refining the liability of trading platforms and dark patterns, raising public awareness, and improving enforcement mechanisms. The paper contributes to the field of consumer protection by in distance trading and developing practical strategies for Georgia to promote the development of a fair digital market.

Search/Keywords: consumer rights, distance trading, e-commerce, provision of information, withdrawal from the contract, trading platform liability.